პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 ივნისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 112 (9523) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ახალი გამარჯვებით გაგვახარეს

▲ ჯემალ მჭედლიშვილი. სამბო. ევროპის ჩემპიონატი. ოქროს მედალი.

▲ გურამ გედეხაური. კლასიკური ჭიდაობა. პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. პირველი ადგილი.

▲ მაია აზარაშვილი. ძმები ზნამენსკების მემორიალი. 200 მეტრზე. პირველი ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯემალ მჭედლიშვილი



გურამ გედეხაური



მაია აზარაშვილი

**სოფია.** აქ დამთავრდა სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც შვიდი ქვეყნის სპორტსმენები ასპარეზობდნენ. საბჭოთა მოჭიდავეების უპირატესობა უდავო იყო — მათ ათიდან რვა ოქროს მედალი დაისაკუთრეს.

პირველი უმაღლესი ჯილდო ჩვენს ნაკრებს ვეტერანმა სამბისტმა 26 წლის ჯეზკაზგანელმა კანატ ბაიშულაკოვმა (48 კგ) მოუტანა. 1982 წლის ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ვარნაში ჩატარდა, ბაიშულაკოვი მეორე იყო. წლეულს კი მან ერთი საფეხურით მაღლა აიწია. ფინალში საბჭოთა სამბისტმა ბულგარელი დიმიტრი დიმიტროვი დაამარცხა.

იხ. მე-3 გვ.

## საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლა

# ბოლო ეტაპიც და...

**ამიერკავკასიის** საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის მეოთხე ეტაპი (კრიტერიუმი, 67 კმ) დოსააფ-ის წრიულ ავტოსტრადაზე ჩატარდა. რბოლის საშუალო სიჩქარე საათში 48,55 კილომეტრი იყო. გამარჯვება კუიბიშევის პირველი გუნდის წარმომადგენელმა კონსტანტინე ბანკიმა მოიპოვა — 1:22.20. პროფკავშირების წარმომადგენელი ოლეგ სტეპანოვი მას მცირედით ჩამორჩა — 1:22.22. მესამე შედეგი საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის ველოსიპედისტს რამის გაიმეტდინოვს ჰქონდა. გუნდურ წარმატებას ეტაპზე კუიბიშევის მეორე კოლექტივის წარმომადგენლებმა მიაღწიეს (ოლიმპიური მომზადების ცენტრი „ივერია" მეოთხე ადგილზე გავიდა).

მომდევნო ეტაპი ორ ნაწილად იყო დაყოფილი. თავდაპირველად მონაწილენი ერთმანეთს ინდივიდუალურ რბოლაში (18 კილომეტრზე) ეჯიბრებოდნენ. აქ ყველას კუიბიშევის პირველი გუნდის წარმომადგენელმა ვიქტორ დემიდენკომ აჯობა — 23.05. კონსტანტინე ბანკინს მესამე შედეგი აღმოაჩნდა — 23.13.

რამდენიმე საათის შემდეგ რბოლის მონაწილენი 70-კილომეტრიან კრიტერიუმში ასპარეზობდნენ. ეს შეჯიბრება რუსთაველის პროსპექტზე გაიმართა და ველოსპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გამარჯვება ამ ნახევარეტაპზე საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელმა ვლადიმერ გალუშკომ მოიპოვა — 1:05.25.

ხუთი ეტაპის ჯამში რბოლის ერთპიროვნული ლიდერი კონსტანტინე ბანკინი გახდა — 11:59.18. მომდევნო ადგილებს ვიქტორ დემიდენკო (11:59.55) და კუიბიშევის II გუნდის ველოსიპედისტი ვიქტორ პელკოვსკი (12:03.07) ინაწილებენ.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე არიან: 1. კუიბიშევი-I 36:07.48, 2. საბჭოთა არმია და სამხედრო საზღვაო ფლოტი-I 36:15.57, 3. კუიბიშევი-II 36:42.46.

ბოლო, მეექვსე ეტაპის შემდეგ მრავალდღიანი ველორბოლა სომხეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლებს.

**ანზორ ჭიჭინაძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# კიდევ ერთი წარმატება

**ბოლო** წლებში საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში საგრძნობლად გამოცოცხლდა სამეცნიერო მუშაობა სტუდენტთა შორის. ამის დასტურია რესპუბლიკურ თუ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში მოპოვებული ჯილდოები. ახლახან კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა ინსტიტუტში. ლვოვში გამართულ ფიზკულტურის ინსტიტუტების სტუდენტთა 33-ე საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე მეორე ადგილი დაიმსახურა პედაგოგიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის თამარ კუხალაშვილის ნაშრომმა (ხელმძღვანელი — დოცენტი გურამ ძაგანია), ხოლო მის თანაკურსელ ეთერ ნაგებაშვილს (ხელმძღვანელი თამარ თხილავა) მეოთხე პრიზი ერგო.



კვირას თბილისის „დინამომ" დონეცკის „შახტიორს" უმასპინძლა. ამ მატჩში დინამოელებმა გაიმარჯვეს — 2:1. სურათზე ამ შეხვედრის ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი.

(იხ. მე-3 გვ.)

# კარგად დაიწყეს

**პინსკში** დაიწყო „თეთრი ეტლის" საკავშირო გათამაშება პიონერრაზმეულთა გუნდებს შორის. 3 ტურის შემდეგ 11,5 ქულით დაწინაურდა ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის გუნდი. კარგად თამაშობენ სოფიკო ნიკოლაძე და თეა ლანჩავა. სოფიკომ ბიჭების პირველ დაფაზე 3-დან 2,5 ქულა მოაგროვა, თეამ — 3-დან 3.

## წელიწადი-მკითხველი

**პარიზი.** საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ქალთა წყვილების თანრიგში (ახალგაზრდებს შორის) ყველას საბჭოთა სპორტსმენებმა ნატალია მედვედევამ და ნატალია ზვერევამ აჯობეს. ფინალში მათ ავსტრიელთა დუეტი (მიშელ იაგარდი და ნიკოლ პროვისი) დაამარცხეს. ქალთა მთავარი შეჯიბრების ფინალში შტეფი გრაფმა (გფრ) მარტინა ნავრატილოვას (აშშ) მოუგო—6:4, 4:6, 8:6 და მთავარ პრიზს დაეპატრონა. ვაჟებში ანალოგიურ წარმატებას ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) მიაღწია — გადამწყვეტ შეხვედრაში შვედი მატს ვილანდერი დაამარცხა—7:5, 6:2, 3:6, 7:6.

**მოსკოვი.** ძმები ზნამენსკების მემორიალზე, რომელიც „გრან პრის" პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებად ითვლება, ნატალია ლისოვსკაიამ ზედიზედ ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი ბირთვის კვრაში. თავდაპირველად მისი შედეგი 22 მ 60 სმ იყო, მერე კი 22 მ და 63 სმ.

**ჰელსინკი.** ბალტიის ზღვის ქვეყნების მრავალდღიანი ველორბოლა „დრუჟბა" კუიბიშეველმა ასიატ საიტოვმა მოიგო. ვერცხლის მედალს ლენინგრადელი ვიაჩესლავ ეკიმოვი დაეპატრონა, ბრინჯაოს ჯილდოს — ტაშკენტელი ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვი. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი-I, სსრ კავშირი-II, გდრ.

**მოსკოვი.** აკადემიურ ნიჩბოსნობაში მოსკოვის ქალთა დიდი რეგატა რუმინეთისა და გდრ-ის წარმომადგენლებმა მოიგეს. საბჭოთა გუნდის ვერც ერთმა წევრმა პირველი ადგილი ვერ დაიკავა. გაცილებით უკეთ გამოვიდნენ ვაჟები. ისინი ხუთ სახეობაში უძლიერესნი იყვნენ.







# დაინტერესება შეგვძლებია

 გასულ შაბათს საზეიმო განწყობილება სუფევდა ჩვენს დედაქალაქში. ყვავილების ტრადიციულ დღესასწაულზე თბილისში ამ დღეს სხვადასხვა უბანზე რვა ახალი სკვერი გაიხსნა. ბევრგან ზეიმი სპორტულმა შეჯიბრებებმაც დაამშვენა, ხოლო საღამოს ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსში დიდი კონცერტი გაიმართა. მეორე დღეს, 7 ივნისს საუცხოო სანახავი იყო რიყის ტერიტორია...

ყველაფერი მოწდომებითა და ჩანაფიქრის ხორცშესხმით დაიწყო. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტში გადაწყვიტეს რიყისთვის, დედაქალაქის ამ ერთ-ერთი ძველი უბნისთვის, კვლავ დაებრუნებინათ სიცოცხლე და იგი ახალგაზრდების სისტემატური თავშეყრის ადგილად ექციათ. ახლა აქ ჟამიდან ჟამამდე კი არა, ყოველ კვირადღეს იმართება მრავალფეროვანი ღონისძიებები, რომლებიც უამრავ თბილისელს იზიდავს. ახე იყო გასულ კვირასაც—ვის ქართულ ჭიდაობაზე ეპატიჟებოდნენ, ვის ლაშტის სანახავად, ვის კიდევ ყაბახი იზიდავდა (მართალია, უცხენუმხედროდ, მაგრამ მაინც ყაბახი). იქით სჭეითბორდი თუ მხიარული თამაშები, ახალგაზრდული კლუბი „ყაბახი", სპორტული ფოტოების გამოფენა... მართლაც, გამორჩეული დღე იყო. ეხე იგი, შეგვძლებია ხალხის დაინტერესება.

და მაინც, ეს მხოლოდ დასაწყისია...











ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი.

### ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშები

# ორიენტირად უნდა იქცეს

**დაიწყო** თუ არა მებაიდარეთა და კანოისტთა შეჯიბრება ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკური თამაშების პროგრამით, საჩქაროდ მოვიმარჯვეთ ის უბის წიგნაკი, რომელშიც ამ შეჯიბრებამდე ერთი თვით ადრე, აქვე, ფოთში, მდინარე კაპარჭინაზე ჩატარებული საქართველოს თასის გათამაშების შედეგები გვქონდა ჩანიშნული. ჩვენი განზრახვა ადვილი მისახვედრია — გვინდოდა ძველი და ახალი მაჩვენებლები ერთმანეთისთვის შეგვედარებინა, რათა ნათელი წარმოდგენა გვქონოდა, როდის უფრო კარგად იასპარეზეს სპორტსმენებმა.

ნიჩბოსნობის გულშემატკივრები, ალბათ, იტყვიან: შედეგების შედარება, რა თქმა უნდა, საჭირო საქმეა, მაგრამ „კარგად იასპარეზეს" მაინც ხმამაღლაა ნათქვამიო. მართალნიც იქნებიან. თავად განსაჯეთ: თასის გათამაშებაზე 91 ნიჩბოსანი შეიკრიბა, რომელთა შორის 22 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 46 პირველთანრიგოსანი და 21 მეორეთანრიგოსანი იყო, მაგრამ პირველი თანრიგის ნორმატივი მხოლოდ ერთეულთა შეჯიბრებაში გამოსულმა ორმა სპორტსმენმა შეასრულა, მეორე თანრიგისა — 8 ეკიპაჟმა, III თანრიგისა კი — 27-მა. კაპარჭინაზე გუნდებს საგანაცხადო სიებში მესამეთანრიგოსნები არ ჰყოლიათ, მაგრამ 24 ეკიპაჟმა ამ თანრიგის შესაფერისი შედეგიც ვერ აჩვენა. ჩვენი ნიჩბოსნების ასეთმა უხეირო გამოსვლამ, ცხადია, ძალიან დაგვაფიქრა და შედეგების შედარებასაც ამიტომ ვჩქარობდით, მაგრამ ჭაბუკთა რეგატის პირველივე რბოლამ იმედი ჩაგვისახა — გოგონათა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში გამარჯვებულმა, ფოთელმა პირველთანრიგოსანმა ნინო წურწუმიამ 500 მეტრი სპორტის ოსტატობის კანდიდატის შესაფერის დროში — 2 წუთსა და 7 წამში დაძლია.

ძალზე საინტერესო გამოდგა მეორე რბოლა — კანოისტ ვაჟთა შეჯიბრება ერთადგილიანი ნავებით 500-მეტრიან დისტანციაზე. სულ 12 გაცურვა მოეწყო და ყველაზე კარგად სწორედ ამ რბოლაში გამარჯვებულებმა იასპარეზეს. სოხუმელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა სამველ ჩოლოკიანმა, ფოთელმა პირველთანრიგოსანმა გოჩა გიგიბერიამ და რუსთაველმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა თენგიზ დვალიშვილმა ამ თანმიმდევრობით, სამ-სამწამიანი ინტერვალით გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. გამარჯვებულმა სპორტის ოსტატის (2.02,0), მეორე და მესამე ადგილებზე გასულმა კანოისტებმა კი სპორტის ოსტატობის კანდიდატის შესაფერისი შედეგები (2.05,0 და 2.08,3) აჩვენეს. თავი არც ამავე დისტანციაზე ორადგილიანი ნავებით მოასპარეზე კანოისტებს შეურცხვენიათ. ფინიშის ხაზი პირველებმა გადაკვეთეს სოხუმელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ირაკლი ხოშტარიამ და არშაკ ბაგარიანმა, რომლებმაც მართლაც ოსტატურად იასპარეზეს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) — დისტანცია 1 წუთსა და 50 წამში გაცურეს. მეორე ადგილზე გასულმა ფოთელმა პირველთანრიგოსნებმაც — ხვიჩა გიგიბერიამ და ბენო ოჩიგავამ — „რანგით უფროსთა", სპორტის ოსტატობის კანდიდატთა დარად იასპარეზეს. ეს რიგით მეხუთე რბოლა იყო, მეექვსე რბოლის სტარტზე კი კვლავ მებაიდარეები იყვნენ და მათაც ისახელეს თავი. ამ



გაცურვის შედეგს სასიამოვნო მოულოდნელობა შეიძლება ვუწოდოთ და აი, რატომ: ფოთელმა მოსწავლეებმა, პირველთანრიგოსანმა ნიჩბოსნებმა ზურაბ ფილიამ და მალხაზ ცაავამ სტარტი კარგად აიღეს, 500-მეტრიანი დისტანცია საკმაოდ სწრაფი ტემპით განვლეს და ფინიშთან პირველები მივიდნენ. წამმზომებზე აღინიშნა შედეგი, რომელზეც სპორტის ოსტატებიც არ იტყოდნენ უარს — 1 წუთი და 35 წამი.

ერთი სიტყვით, ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკური თამაშების საბაიდარო რეგატაში ჩვენმა ნიჩბოსნებმა გაცილებით უკეთესად იასპარეზეს, ვიდრე საქართველოს თასის გათამაშებაში. მაგრამ, ზემოთ ვთქვით და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: თასის გათამაშება იმდენად უინტერესოდ და უფერულად ჩატარდა, რომ მაშინდელი შედეგები ორიენტირად არ გამოდგებოდა. ორიენტირად ჭაბუკთა თამაშების რეგატის ის შედეგები უნდა იქცეს, რომლებზეც ამ წერილში გავამახვილეთ თქვენი ყურადღება. თუმცა, სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებაზე ყურადღება მარტო ამ ეგრეთ წოდებულმა „დადებითმა შედეგმა" (რამდენიმე სპორტსმენის მიერ ნაჩვენებმა მაღალმა შედეგებმა) როდი მიიქცია. შეჯიბრების პირველ დღეს სპორტსმენები უკეთ გამოვიდნენ, ვიდრე მეორე დღეს, როცა დისტანციის სიგრძეც და ეკიპაჟთა წევრების რაოდენობაც გაორმაგდა, ნიჩბოსანთა გუნდების წევრებს ერთნაირი სპორტული ფორმა არ ეცვათ. გამომჟღავნდა სიყალბეც. მსაჯები იძულებული გახდნენ შეჯიბრებიდან მოეხსნათ 1000 მეტრზე მოასპარეზე მცხეთელ მებაიდარეთა ოთხეული, ვინაიდან ამ ქალაქის გუნდის მწვრთნელებმა დებულება დაარღვიეს: ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი მესამედ გამოიყვანეს დისტანციაზე (დებულების თანახმად თითოეულ ნიჩბოსანს მხოლოდ ორ დისტანციაზე გამოსვლის უფლება ჰქონდა).

**თამაზ მიგრიაული.**

**2113** — კვარცხლბეკი

**გოგონები. ერთადგილიანი ბაიდარა (500 მ).** 1. ნ. წურწუმია (ფოთი) — 2.07,0; 2. ნ. მუსოევა (მცხეთა) — 2.18,0; 3. ი. ბარანოვა (აჭარა) — 2.20,0. **ორადგილიანი ბაიდარა (500 მ).** 1. ხ. ლომაძე, მ. ჩიტაია (ფოთი) — 2.05,0; 2. მ. საენკო, ნ. დეხტიაროვა (მცხეთა) — 2.08,0; 3. მ. ბალდოევა, ლ. ამოიანი (თბილისი) — 2.15,0; **ოთხადგილიანი ბაიდარა (500 მ).** 1. ფოთის ეკიპაჟი (ნ. წურწუმია, ხ. ლომაძე, მ. ჩიტაია, ტ. ბოლიაკი)—1.50,0; 2. მცხეთის ეკიპაჟი (პირველი მენიჩბე ნ. მუსოევა) — 1.54,0; 3. თბილისის ეკიპაჟი (პირველი მენიჩბე ს. ხალათიანი) — 2.07,0.

**ვაჟები. ერთადგილიანი კანოე (500 მ).** 1. ს. ჩოლოკიანი (აფხაზეთი) — 2.02,0, 2. გ. გიგიბერია (ფოთი) — 2.05,0; 3. თ. დვალიშვილი (რუსთავი) — 2.08,3; **ერთადგილიანი ბაიდარა (500 მ.).** 1. მ. ციცქიშვილი (თბილისი )— 1.56,8; 2. პ. კოსტენკო (აფხაზეთი) — 1.58,0; 3. ე. კაპუსტინი (ფოთი) — 2.00,0; **ორადგილიანი კანოე (500 მ).** 1. ი. ხოშტარია, ლ. ბაგარიანი (აფხაზეთი) — 1.50,0; 2. ხ. გიგიბერია, ბ. ოჩიგავა (ფოთი) — 1.51,0, 3. გ. ზაბაირაჩნი, ა. მლადენოვი (თბილისი) — 1.58,3, **ორადგილიანი ბაიდარა (500 მ).** 1. ზ. ფილია, მ. ცაავა (ფოთი) — 1.35,0; 2. ლ. მელაძე, მ. ზაქარია (აფხაზეთი) — 1.48,7; 3. ტ. გოქსაძე, მ. ციცქიშვილი (თბილისი) — 1.48,5. **ერთადგილიანი ბაიდარა (1000 მ).** 1. მ. ლომაძე (ფოთი) — 4.07,0; 2. პ. კოსტენკო (აფხაზეთი) — 4.12,0; 3. კ. სიმსივე (ქუთაისი) — 4.17,0; **ერთადგილიანი კანოე (1000 მ).** 1. ს. ჩოლოკიანი — 4.26,0; 2. გ. გიგიბერია — 4.31,0, 3. თ. დვალიშვილი — 4.32,0. **ორადგილიანი ბაიდარა (1000 მ).** 1. შ. გუგუშვილი, ა. სივაკი (აფხაზეთი) —3.48,0; 2. კ. დუნდუა, პ. გუჯაბიძე (ფოთი) — 3.50,0; 3. ო. ჩერნავინი, ა. მურადოვი (რუსთავი) — 3.54,0. **ორადგილიანი კანოე (1000 მ).** 1. ხ. გიგიბერია, ბ. ოჩიგავა — 4.04,0; 2. ი. ხოშტარია, ლ. ბაგარიანი — 4.11,0; 3. გ. ზაბაირაჩნი, ა. მლადენოვი — 4.21,0. **ოთხადგილიანი ბაიდარა (1000 მ).** 1. ფოთის ეკიპაჟი (მ. ლომაძე, მ. ცაავა, ე. კაპუსტინი, ზ. ფილია) — 3.29,0; 2. აფხაზეთის ეკიპაჟი (პირველი მენიჩბე ა. სივაკი) —3.34,0; 3. თბილისის ეკიპაჟი (პირველი მენიჩბე ტ. გოქსაძე) — 3.53,0.

გუნდური ჩათვლა. 1. ფოთი — 637, 2. აფხაზეთი — 526; 3. თბილისი — 444.

---

**ლახტის წრეში**

# შეჯიბრება ჩაიშალა

ამას წინათ თელავში ჩატარდა 1974-75 წლებში დაბადებულ მოსწავლე მძლეოსანთა რესპუბლიკური რეგიონალური შეჯიბრება. მეტნაკლებად კარგი შედეგი ორმა სპორტსმენმა უჩვენა — ვიტალი კუზმინმა (თელავი) 150-გრამიანი ბურთი 62 მეტრზე ისროლა, გოგიტა ლეგაშვილი (ყვარელი) 510 სმ-ზე გადახტა, ხოლო 60 მეტრის გარბენას 8,3 მოანდომა. ამ შეჯიბრებაზე არც გავამახვილებდით ყურადღებას, ერთი დამაფიქრებელი ფაქტი რომ არა: ხარბიელზე კახეთის რვა რაიონის წარმომადგენლები უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ვაჟთა გუნდები ოთხმა რაიონმა გამოგზავნა, გოგონებისა კი — მხოლოდ ორმა — ყვარლისა და თელავის რაიონებმა. არადა, ამ ასპარეზობის შედეგების მიხედვით უნდა დაკომპლექტებულიყო რეგიონის მძლეოსანთა ნაკრები. საყვედურის ღირსნი არიან ლაგოდეხის, ახმეტის, საგარეჯოს, გურჯაანის რაიონების სპორტკომიტეტების ხელმძღვანელები, რომლებმაც არც ერთი გუნდი არ გამოგზავნეს, გოგონათა შეჯიბრებაზე არც წითელი წყაროს და სიღნაღის რაიონებს მიუღიათ მონაწილეობა. ზოგიერთმა თავი იმით გაიმართლა, სკოლებში გამოცდები[illegible] მოშოგარი და მოსწავლეთა გათავისუფლება ჭირსო. მაგრამ ჩვენ მიზეზი სხვა გვგონია: დასახელებულ რაიონებში ძალზე სუსტადაა განვითარებული მძლეოსნობა. ბევრგან ამ სახეობის ჯგუფები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს; არ ტარდება არავითარი საწვრთნელი მუშაობა. სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა ნაკრებში, რომელიც სპორტსკოლების საკავშირო თამაშებისათვის ემზადება, კახეთის რვა რაიონის მხოლოდ ერთი წარმომადგენელია — იოსებ პატარაშვილი (შუბის ტყორცნა, ახმეტა).

რეგიონალური შეჯიბრება ფაქტიურად ჩაიშალა. ამისათვის მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი ზემოთ დასახელებული რაიონების სპორტის ხელმძღვანელებს. საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულებით ჩვენი სპორტი ღირსეულ ცვლას ვერ მიიღებს. ეს ყველამ კარგად უნდა დავიხსომოთ.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**
„ლელოს" ზონალური კორესპონდენტი.

თელავი.

---

# ფიზკულტურას ყველა ვერ ასწავლის

**ზუგდიდის** რაიონში 60-ზე მეტი საშუალო და რვაწლიანი სკოლაა, მაგრამ ყველგან როდი ჰყავთ კვალიფიციური ფიზკულტურელი სპეციალისტები. უმაღლესი განათლების მქონე ფიზკულტურის მასწავლებლის გარეშე 15 საშუალო და რვაწლიანი სკოლაა დარჩენილი. ერგეტის საშუალო სკოლის IV კლასში ფიზკულტურას უცხოენის სპეციალისტი ასწავლის, არც სხვა სკოლებშია უკეთესად საქმე. ეს საკითხი ყველაზე კარგად გადაწყვიტეს ანაკლიის, ორჯონიკიძის, ოქტომბრის, შამგონის, ჩხორიას, ცაიშისა და სხვა საშუალო სკოლების ხელმძღვანელებმა: ამ სკოლებში დაწყებით კლასებს ფიზკულტურას უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე მასწავლებლები ასწავლიან.

ახალი აბასთუმნის საშუალო სკოლის (დირექტორი ღუღუნი ქადარია) მე-2, მე-10 კლასებში ფიზკულტურის გაკვეთილებს გამოცდილი მასწავლებელი, უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე არველოდი ქადარია ატარებს, პირველ კლასში კი დაწყებითი კლასების მასწავლებელი კლარა აბზიანიძე. სკოლას არა აქვს სპორტდარბაზი, უამინდობის შემთხვევაში, განსაკუთრებით ზამთარში, გაკვეთილი სკოლის ვესტიბულში ან საკლასო ოთახში ტარდება. წინათ გასახდელი ოთახი ჰქონდათ, მაგრამ დირექციამ იგი სხვა დანიშნულებისთვის გამოიყენა.

სულ სხვა მდგომარეობაა ინგირის მეორე საშუალო სკოლაში. სკოლამ გახანგრძლივებული სწავლების სკოლების რესპუბლიკურ მე-3 დათვალიერებაზე პირველი ადგილი დაიკავა. აქ აქვთ შესანიშნავი სპორტული ბაზა და ინვენტარი. ყველაფერი ეს სკოლის ახალგაზრდა თავკაცის ბოჩო გიგლემიანის დამსახურებაცაა. ასეთი პირობები ნებისმიერ სკოლას შეშურდებოდა, მაგრამ ამ პირობებს აქ ვერ იყენებენ. მიზეზი? ახალგაზრდა სპეციალისტი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ივანე კილტავა სკოლაში ისე მოდის, როგორც სტუმარი.

სკოლის დირექტორმა თქვა, რომ კილტავა კარგი სპეციალისტია, თუ მოინდომა, ყველაფერს გააკეთებს, მაგრამ უჭირს სამტრედიიდან ყოველდღე სიარული, ხშირად აგვიანდება, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კი უკან ბრუნდება და ამიტომ ვერ უძღვება სექციურ მუშაობას. ამის გამო დილის გამამხნევებელი ვარჯიშები მიმდინარე სასწავლო წელსაც ჩაშლილი იყო.

ამავე სკოლაში არასპეციალისტები ატარებენ ფიზკულტურის გაკვეთილებს დაწყებით კლასებში (I, II და III კლასი).

ერთი სიტყვით, ფიზკულტურის სწავლებაში წელსაც ბევრი ხარვეზი შეიმჩნეოდა. გარდაქმნა არ იგრძნობა. იმედია, ახალი სასწავლო წლიდან ზემოაღნიშნული სოფლები ახლებურად, სადღეისო მოთხოვნების გათვალისწინებით შეუდგებიან საქმეს.

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს" ზონალური კორ.

ზუგდიდი.

---

### საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# ბრძოლა თავიდანვე გამწვავდა

**მოჭადრაკე** ვაჟთა 47-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის II ტურის შეხვედრებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოდგა ლაშა ჯანჯღავასა და იგორ ეფიმოვის ორთაბრძოლა. ეფიმოვმა, თეორიული ვარიანტის მიხედვით, სამ პაიკში ფიგურა შესწირა, სამაგიეროდ, ცენტრში გადაბმული, ძლიერი პაიკები მიიღო. ჯანჯღავა არ დაიბნა. იგი ზუსტად თამაშობდა და ხარისხი მოიგო, შემდეგ ერთი პაიკიც დაიბრუნა და საბოლოოდ ორ პაიკში ზედმეტი ეტლი დარჩა. პარტიის ბედიც ამან გადაწყვიტა — ეფიმოვი იძულებული გახდა დანებებოდა.

ხაინტერესოდ წარიმართა კახა შალამბერიძის შეხვედრა გია ბალათუროვთან. თეთრებმა ლაზიერის ფრთაზე დაიწყეს ბრძოლა, შავები კი ცდილობდნენ მეფის ფლანგზე წამოეწყოთ კონტრთამაში. ბრძოლა გამწვავდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეებს 34 სვლა ჰქონდათ გაკეთებული, დაფაზე მხოლოდ თითო პაიკი და თითო ფიგურა იყო გაცვლილი. სიტუაცია მოახლოებულმა ორმხრივმა ცაიტნოტმაც გაართულა. როცა თითოეულს შვიდ სვლაზე მხოლოდ ოთხი წუთი ჰქონდა დარჩენილი, შალამბერიძემ შეცდომა დაუშვა და, იმის გამო, რომ ლაზიერს ჰკარგავდა, თავი დამარცხებულად ცნო.

გოჩა ტყებუჩავასა და დიმიტრი გედევანიშვილის პარტიაში დებიუტში გედევანიშვილმა იმარჯვა, მაგრამ ტყებუჩავა მოთმინებით იცავდა თავს. მან ფიგურები გაცვალა და თამაში ენდშპილში გადაიყვანა, სადაც ორივე მოჭადრაკეს ლაზიერები და თითო კუ დარჩა. აქ გოჩამ ენდშპილის ღრმა ცოდნა გამოამჟღავნა და გაიმარჯვა.

თამაზ ტაბატაძისა და პაატა გაფრინდაშვილის შეხვედრაში თეთრებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს. ფიგურები გაიცვალა და თამაში ენდშპილში გადავიდა, სადაც ტაბატაძემ მეფის ფრთაზე გამსვლელი პაიკი მიიღო. სწორედ ამან გადაწყვიტა პარტიის ბედი მის სასარგებლოდ.

ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა გია გიორგაძემ, ამჯერად მან მიხეილ კრასენკოვი დაამარცხა.

ნუკრი მანაგაძისა და დავით ჩაჩიბაიას პარტია თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ფიგურები სწრაფად გაიცვალა. ენდშპილში ჩაჩიბაია ცდილობდა ლაზიერის ფრთაზე მიღებული გამსვლელი პაიკი გამოეყენებინა, მაგრამ ვერ შეძლო და მეტოქეები დაზავდნენ.

ყაიმით დასრულდა ზურაბ სტურუასა და ბესიკ ხეცურიანის შეხვედრაც.

III ტურში ყურადღება მიიქცია ხეცურიანისა და გიორგაძის პარტიამ. ხეცურიანმა, რომელიც თავიდანვე აქტიურად თამაშობდა, ძლიერი იერიშის განხორციელების შემდეგ გაიმარჯვა.

ბალათუროვისა და ტყებუჩავას პარტიაშიც თეთრებმა გაიმარჯვეს. მეტოქეებმა სხვადასხვა მხარეს გააკეთეს როქი და ბრძოლა, როგორც მოჭადრაკეები იტყვიან, დასწრებაზე მიმდინარეობდა. ბალათუროვმა „დაასწრო" მეტოქეს შეტევა და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ეფიმოვმა. მან სტურუა დაამარცხა. კრასენკოვმა შალამბერიძეს სძლია.

დაძაბულად წარიმართა გედევანიშვილისა და მანაგაძის შეხვედრა. ბრძოლა ძირითადად ცენტრში მიმდინარეობდა. გედევანიშვილმა მიტელშპილში პაიკი შესწირა მეტოქეს, მაგრამ მანაგაძემ უკანვე დაუბრუნა იგი, სამაგიეროდ ფიგურები გაცვალა და თამაში ენდშპილში გადაიყვანა. გედევანიშვილი ცდილობდა გაერღვია მეტოქის დაცვა, მაგრამ ვერაფერს გახდა და მეტოქეები 62-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

ყაიმით დამთავრდა გაფრინდაშვილ-ჯანჯღავასა და ჩაჩიბაია-ტაბატაძის პარტიებიც.

როგორც ხედავთ, II და III ტურებში არც ერთი პარტია არ გადადებულა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბრძოლა მწვავე იყო. ასეთი სტარტი იშვიათი მოვლენაა და საფიქრებელია, რომ შეჯიბრების მონაწილენი ტურნირის ბოლომდე უშეღავათოდ იბრძოლებენ. ამას ისიც შეუწყობს ხელს, რომ დაწესებულია ოსტატის ნორმა — 9 ქულა. ალბათ შვიდივე კანდიდატი ეცდება ქულათა საჭირო რაოდენობის მოგროვებას.

3 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: გია ბალათუროვი — 3 ქულა, ლაშა ჯანჯღავა — 2,5, გია გიორგაძე — 2, თამაზ ტაბატაძე — 1,5 (1).

**ვასილ ვაშაკიძე,**
ოსტატობის კანდიდატი.

# ახალი გამარჯვებებით გაგვახარეს

დასასრული

ბაიმულაკოვის ძმა ალგატი 57 კგ წონაში ასპარეზობდა. ფინალში იგი 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ბულგარელ გიორგი იუსევს შეხვდა და დამარცხდა.

82 კგ წონით კატეგორიაში კარგად იჭიდავა თბილისელმა ჯემალ მჭედლიშვილმა და ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა.

პირველი ადგილები მოიპოვეს, ასევე, მინსკელმა ვლადიმერ იაპრინცევმა (68 კგ), სვერდლოვსკელმა სერგეი ვორობიოვმა (74 კგ), კუიბიშეველმა იგორ ალიოხინმა (62 კგ), მოსკოველმა ნიკოლოზ ლიხარიოვმა (100 კგ), სიმფეროპოლელმა ვიქტორ სერდიუკოვმა (მძიმე), ორი ოქროს მედალი ბულგარელებს ხვდათ, გიორგი იუსევს (57 კგ) და გეორგი პეტროვს (90 კგ).

პრიზიორთა შორის მოხვდნენ ესპანეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამბისტებიც.

**ამჯერად** ივანე პოდუბნის სახელობის ტრადიციულ მემორიალს კლასიკურ ჭიდაობაში ესტონეთის დედაქალაქი ტალინი მასპინძლობდა. წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ათლეტებმა, რომლებმაც ათიდან რვა პირველი ადგილი დაისაკუთრეს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთავარ პრიზს უკვე მეორედ დაეუფლნენ თბილისელი გურამ გედეხაური (100 კგ), ნოვოსიბირსკელი ალექსანდრე კარელინი (130 კგ) და მოსკოველი ალექსეი სავინკინი (82 კგ).

მათ გარდა პირველი ადგილები დაიკავეს: როსტოველებმა სერგეი დიუდაევმა (52 კგ), სერგეი ბულანოვმა (57 კგ) და კამალ მუსაევმა (62 კგ), გროზნოელმა ასლანბეკ ფენდიევმა? (68 კგ); კიეველმა ალექსანდრე კონდრატცკიმ (74).

ორ წონაში ოქროს მედლებს ბულგარელი ათლეტები ბრატან ცონევი (48 კგ) და ათანას კომშევი (90 კგ) დაეპატრონნენ. შეჯიბრებაში ამ ორი ქვეყნის გარდა უნგრეთის, გდრ-ის, ნორვეგიის, პოლონეთის, სირიის, აშშ-ს, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭიდავეები იბრძოდნენ.

ტურნირი თავისებურ გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც აგვისტოს კლერმონ-ფერანში (საფრანგეთი) ჩატარდება.

**შარშან** ძმები ზნამენსკების მემორიალზე 200 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებისას საკმაოდ უცნაური რამ მოხდა: ფინალურ გარბენში გამარჯვებულად გამოცხადდა ტაშკენტელი ელვირა ბარბაშინა. შემდეგ მსაჯებმა გულდასმით შეამოწმეს ელექტროწამზომის მაჩვენებელი და დაასკვნეს, რომ იგივე შედეგი უჩვენებია მაია აზარაშვილსაც, რომელსაც თავდაპირველად მეორე ადგილი მიაკუთვნეს, ამდენად ბარბაშინას და აზარაშვილს პირველი ადგილი უნდა გაეყოთ, მაგრამ შედეგებში ასეთი შესწორება არავის შეუტანია. ყოველ შემთხვევაში, ეს რატომღაც ოფიციალურად არ გამოცხადებულა.

და აი, ერთი წლის შემდეგ ძმები ზნამენსკების სახელობის საიუბილეო, რიგით 30-ე ასპარეზობაზე იმავე დისტანციაზე მაია აზარაშვილმა დამაჯერებლად ჩამოიტოვა ყველა მეტოქე და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მისი შედეგია 22,73. ნიჭიერმა ქართველმა მძლეოსანმა კიდევ ერთი საპატიო ჯილდო შემატა თავისი პრიზების კოლექციას.

5 კილომეტრზე რბენაში, რომელიც „გრან-პრის“ პროგრამით ჩატარდა, მე-4 ადგილი დაიკავა თბილისელმა ოლეგ სტრიჟაკოვმა. ასეთივე მეოთხე იყო სოხუმელი ტარიელ ბიწაძე ბირთვის კვრაში.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

### „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 2:1 (0:0)

**თბილისი. 7 ივნისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, კუდინოვი, ჟორდანია (გოგრიჭიანი, 58), ცვეიბა, სულაქველიძე, ქვანია, გურული, ქეცბაია (შენგელია, 65).**

**„შახტიორი“. ელინსკასი, დრაგუნოვი, სოპკო, გოშკოდერია, პარხომენკო, ოლეფირენკო, იაშჩენკო, გერასიმეცი (რადენკო, 69), იურჩენკო, სმოლიანინოვი, გრაჩოვი (სოკოლოვსკი, 89).**

**მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს გრაჩოვი.**

ულიმღამო პირველი ტაიმის ფონზე, როცა ორივე გუნდის ფეხბურთელები საკმაოდ ინერტულად მოქმედებდნენ, მეორე ნახევარი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. მართალია, შეცდომები ამ 45 წუთის განმავლობაშიც იყო, მაგრამ შედარებით მაღალმა ტემპმა, რამდენიმე სახიფათო მომენტმა და, რაც მთავარია, გატანილმა გოლებმა ტრიბუნები საგრძნობლად გამოაცოცხლა.

თბილისელთა რიგებში ამჯერადაც ვიხილეთ ახალი ფეხბურთელები: 19 წლის თემურ ქეცბაია, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატის პირველი შეხვედრა ჩაატარა ძირითად შემადგენლობაში, აგრეთვე გუნდში დაბრუნებული ვაჟა ქვანია.

როგორც უკვე აღინიშნა, მეორე ტაიმში თბილისელები გაცილებით მაღალ ტემპში, ენერგიულად იბრძოდნენ. ცალკე გამოყოფას იმსახურებს ჰედიას აქტიურობა. იგი მთელი 90 წუთის მანძილზე ბევრს მოძრაობდა და დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა.

თბილისელებმა მხოლოდ ასეთი აქტიურობის ხარჯზე მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. ერთ-ერთი შეტევის შემდეგ სტუმრებმა ბურთი კუთხურზე მოიგერიეს, კუთხურიდან მოწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში ყველას გურულმა დაასწრო და ძლიერი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. 82-ე წუთზე გოშკოდერიას დარტყმის შემდეგ ბურთი თბილისელთა რომელიღაც მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და მასპინძელთა კარში აღმოჩნდა (1:1), მაგრამ თბილისელები ამან ვერ გატეხა: საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე შენგელიამ კიდევ ერთხელ აიღო ელინსკასის კარი და „დინამოს“ მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა — 2:1.

**ინტერვიუ მატჩის შემდეგ.**

**გია გურული.** „შახტიორთან“ თამაში ყოველთვის ძნელ ბრძოლაში მიმდინარეობს, გამონაკლისი არც ახლა იყო. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ შევძელი ანგარიშის გახსნა და ჩემი წვლილი შევიტანე საერთო გამარჯვებაში. იმ ეპიზოდში, როცა გოლი გავიტანე, ყველაფერი კარგად გამომივიდა: ბურთის ტრაექტორიაც სწორად გამოვიანგარიშე, ნახტომიც მაღალი გამომივიდა და დარტყმაც ზუსტი.

**რამაზ შენგელია.** 65-ე წუთამდე ბრძოლას, ასე ვთქვათ, გარედან ვადევნებდი თვალს და კარგად ვხედავდი, რომ დონეცკელ მცველთა გადაადგილებები, პოზიციური თამაში ყოველთვის უშეცდომო არ იყო. როცა მინდორზე გამოვედი, სწორედ ის აზრი მიტრიალებდა, რომ მეტოქის დაცვაში დარჩენილი ღია „დერეფნები“ გამომეყენებინა. მატჩის ბოლო წუთებზე, როცა მინდვრის სიღრმიდან პასი მივიღე, ვიგრძენი, რომ მცველი ბურთს ვერ უსწრებდა, დავასწარი, მეკარესთან პირისპირ აღმოვჩნდი და გოლის გატანა არ გამჭირვებია.

### „გურია“ (ლანჩხუთი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 1:2 (1:0)

**ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 7 ივნისი.**

**„გურია“: იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე (ტ. კაპანაძე, 77), ფრიდონაშვილი, აკოფიანი (ჩხაიძე, 77).**

**„დნეპრი“: გოროდოვი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი, ჩერედნიკი, ლიხენკო (სოროკალეტი, 66), შახოვი, ტიშჩენკო, ლიტოვჩენკო, შოხი (ტარანი, 75), პროტასოვი, ლიუტი.**

**მსაჯი კ. დორონინი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს შოხი.**

**დუბლიორთა მატჩი გაიმართა ფოთში, გაიმარჯვა „დნეპრმა“ — 3:0.**

მასპინძელთათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ფრიად საიმედოდ დაიწყო: მათ თავიდანვე სწრაფი ტემპი განავითარეს, ყველა რგოლი მოქმედებდა შეწყობილად, ტემპიანად, კომბინაციურად, უკვე მე-3 წუთზე ფრიდონაშვილს შეექმნა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა, ორიოდე წუთის შემდეგ კი გოროდოვმა ძლივს მოიგერია ხლუსის მიერ დარტყმული ბურთი.

ანგარიშიც სწორედ ამ პერიოდში გაიხსნა: კოპალეიშვილმა მე-6 წუთზე ძლიერად დაარტყა, ტიშჩენკო თავით მიჰყვა მაღალ ბურთს, მაგრამ საკუთარ კარში ჩაჭრა იგი — 1:0.

ტაიმის დასასრულამდე თამაში მასპინძელთა მცირე უპირატესობით მიმდინარეობდა, მეტოქეები შესვენებაზე ლანჩხუთელთა ამ უპირატესობით წავიდნენ.

შესვენების შემდეგ კოკისპირულად გაწვიმდა, თამაში უკიდურესად დაიძაბა, დნეპროპეტროვსკელებმა მკვეთრად მოუმატეს ტემპს, „გურიის“ თავდამსხმელები კი წინა ხაზზე ხშირად კარგავდნენ ბურთს, რაც მნიშვნელოვნად უძნელებდა საქმეს მასპინძელთა მცველებს.

„დნეპრის“ ასეთმა აქტიურობამ შედეგიც გამოიღო: 53-ე წუთზე ლიტოვჩენკომ შორიდან დაარტყა კარში. იმნაძემ ამ მომენტში ვერ გამოიჩინა სათანადო მობილიზება და თითქმის ხელში აღებული მეტად იოლი ბურთი გაუშვა ხაზს იქით — 1:1. ორიოდე წუთიც არ იყო გასული, როცა „გურიის“ მცველთა შეცდომა კარგად გამოიყენა პროტასოვმა და უმეთვალყუროდ დარჩენილმა ახლო მანძილიდან გაგზავნა ბურთი მიზანში — 2:1.

და, მაინც ლანჩხუთელებს შეეძლოთ მატჩის ხსნა. მათი ერთ-ერთი იერიშის დროს ბაშკიროვმა თავის საჯარიმო მოედანზე ხელით ითამაშა, არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. პენალტის დარტყმა ტყებუჩავამ შეასრულა, მან კი ძელს მოახვედრა ბურთი. ამის შემდეგ კიდევ ერთი საუკეთესო მომენტი შეექმნა ფრიდონაშვილს, მაგრამ „დნეპრი“ ამ შემთხვევაშიც ძელმა იხსნა.

**ავთანდილ ორმოცაძე,**
**ტელეფონით, „ლელოს“ კორ.**

● ● ●


ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი გოლი დონეცკელთა კარში.

საკავშირო ჩემპიონატის 7 ივნისის მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით:

„დინამო“ კ. — „ზენიტი“ 1:0
„სპარტაკი“ — „ქაირათი“ 2:1
„მეტალისტი“ — „ჟალგირისი“ 1:0
„არარატი“ — ცსკა 3:0
„ნეფთჩი“ — „დინამო“ მ. 2:1

**11 ივნისს თბილისის „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში მიიღებს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ — დონეცკის „შახტიორს“.**

## გათამაშების ცხრილი

| ძირითადი შემადგენლობანი | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 12 | 7 | 5 | 0 | 20-7 | 19 | (—5) |
| 2. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 12 | 5 | 5 | 2 | 10-6 | 15 | (—9) |
| 3. „დინამო“ (მინსკი) | 12 | 5 | 4 | 3 | 13-7 | 14 | (—10) |
| 4. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 12 | 5 | 4 | 3 | 10-9 | 14 | (—10) |
| 5. „არარატი“ (ერევანი) | 12 | 6 | 1 | 5 | 12-16 | 13 | (—11) |
| 6. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 12 | 5 | 3 | 4 | 13-11 | 13 | (—11) |
| 7 „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 12 | 4 | 4 | 4 | 13-9 | 12 | (—12) |
| 8. „შახტიორი“ (დონეცკი) | 12 | 3 | 6 | 3 | 10-10 | 12 | (—12) |
| 9. „დინამო“ (კიევი) | 9 | 4 | 2 | 3 | 15-8 | 10 | (—8) |
| 10. ცსკა | 12 | 4 | 2 | 6 | 12-15 | 10 | (—14) |
| 11. „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 3 | 4 | 4 | 8-10 | 10 | (—12) |
| 12. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 12 | 4 | 1 | 7 | 8-14 | 9 | (—15) |
| 13. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 12 | 3 | 3 | 6 | 11-15 | 9 | (—15) |
| 14. „დინამო“ (თბილისი) | 11 | 3 | 3 | 5 | 9-13 | 9 | (—13) |
| 15. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 12 | 2 | 5 | 5 | 6-15 | 9 | (—15) |
| 16. „გურია“ (ლანჩხუთი) | 11 | 2 | 4 | 5 | 7-12 | 8 | (—14) |

მდგომარეობა 9 ივნისისთვის

## სსრ კავშირის თასზე

**6 ივნისს სტარტი აიღო სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1987-88 წლების გათამაშებამ, შედგა სამოცდამეოთხედფინალური შეხვედრები.**

ქუთაისის ტორპედოელებმა ომსკის „ირტიში“ მიიღეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, ხოლო ბათუმის „დინამო“ თავის მინდორზე დამარცხდა მოსკოვის „კრასნაია პრესნიასთან“ შეხვედრაში — 0:2.

ფოთის „კოლხეთმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ივანოვოს „ტექსტილშჩიკი“, სოხუმის „დინამო“ თავის მინდორზე სვერდლოვსკის „ურალმაშს“ შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. გორის „დილა“ ვოლგოგრადში დამარცხდა ადგილობრივ „როტორთან“ შეხვედრაში — 1:5.

თასის სასტარტო შეხვედრათა სხვა შედეგები: „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 4:1, „დაუგავა“ (რიგა) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:1, „ნივა“ (ტერნოპოლი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:2, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:0, „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:1 (დამატებით დროში), ასკ-„კარპატი“ (ლვოვი) — „ნივა“ (ვინიცა) 2:0, „ტორპედო“ (ლუცკი) — „ტექსტილშჩიკი“ (ტირასპოლი) 2:1, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „ავანგარდი“ (კურსკი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 3:2, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ზნამია ტრუდა“ (ორეხოვო-ზუევო) 5:2, „სოკოლი“ (სარატოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 1:2, „ზარია“ (კალუგა) — ასკ (დონის როსტოვი) 0:1, „ურალანი“ (ელისტა) — „არსენალი“ (ტულა) 2:1 (დამატებით დროში), „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ზვეზდა“ (პერმი) 4:3 (ძირითადი დრო 1:1, დამატებითი პენალტებით — 3:2), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 3:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ზვეზდა“ (ირკუტსკი) 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (სამარყანდი) 2:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „სოხიბკორი“ (ხალკაბადი) 5:1, „ფახთაქორი“ (ანდიჯანი) — „მელიორატორი“ (ჩიმკენტი) 2:0, „პამირი“ (დუშანბე) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:0, „დინამო“ (ბარნაული) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) 5:6 (ძირითადი დრო 0:0, დამატებითი პენალტებით 5:6), „ცელინიკი“ (ცელინოგრადი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:2, „ხიმიკი“ (ჯამბული) — „ენერგეტიკი“ (კუსტანაი) 4:2, „ზენიტი“ (უსტინოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:2.

ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

**6 და 7 ივნისს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის I ჯგუფის გუნდების XVII ტურის მატჩები.**

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 0:1, „სულორი“ (ვანი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0, „მადნეული“ (წყალტუბო) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 0:2, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „დინამო“ (გაგრა) 5:2.

## ა. ჟორდანიას ხსოვნისა

**დამთავრდა** სპორტის დამსახურებულ ოსტატ ანდრო ჟორდანიას სახელობის თასის ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც სასოფლო საზოგადოება „კოლმეურნის“ 30 გუნდი მონაწილეობდა.

3 ივნისს ქ. აბაშის სტადიონზე შედგა ფინალური მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთ ზონაში გამარჯვებული თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტისა და დასავლეთ ზონაში გამარჯვებული გეგეჭკორის „სალხინოს“ გუნდები.

გადამწყვეტი შეხვედრა მეტად საინტერესო ბრძოლით აღინიშნა, ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს გეგეჭკორელმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელი დ. ჩხეტია), საპატიო თასიც მათ დაისაკუთრეს.

აღსანიშნავია ის დიდი სტუმართმოყვარეობა და ორგანიზებულობა, რომელიც აბაშაში გაუწიეს ფინალური მატჩის მონაწილეებს.

**შოთა ხანიაშვილი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

## II ლიგა

6 ივნისს ტყიბულში შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „მეშახტესა“ და თბილისის „შევარდენი“-სპი-ს შორის.

თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

ფეხბურთი

# დასკვნითი ტურის წინ

**11-17 ივნისს** კიშინიოვში გაიმართება უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები, გაირკვევა, რომელი გუნდი დატოვებს უმაღლეს ლიგას, სამწუხაროდ, ასეთი საშიშროება თბილისის „ბურევესტნიკსაც" ემუქრება. მართალია, თბილისელებმა ბოლო ტურის წინ საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ საფრთხე მაინც არის.

კიშინიოვში გამგზავრების წინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა „ბურევესტნიკის" კაპიტანს, სპორტის ოსტატ დიმიტრი აბესაძეს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

● **როგორ შეფასდა ბოლო, თბილისში ჩატარებული ტურის შედეგი?**

— ამ ტურში, როგორც იცით, ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოვიგეთ და ათი შესაძლებლიდან რვა ქულა დავაგროვეთ, ეს თავისთავად ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება სამართლიანი გულისწყრომა არ გამოიწვია ტირასპოლის სპორტკლუბთან წაგებულ მატჩს. ტირასპოლელები ხომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ჩვენი უშუალო კონკურენტები არიან. მათთვის რომ მოგვეგო... თუმცა ამაზე ლაპარაკი უკვე გვიან არის, ახლა ბოლო, გადამწყვეტ ტურზე უნდა ვიფიქროთ.

● **თბილისის „ბურევესტნიკი", რომელიც ქართული ხელბურთის სახეა, ბოლო წლებში ერთთავად უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, მაგრამ პირველ ლიგაში გადასვლის საფრთხე ასეთი რეალური კარგა ხანია არ ყოფილა. რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე?**

— ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როცა „ბურევესტნიკში" ჩავირიცხე, გუნდის ახალბედებსა და ვეტერანებს შორის წლოვანებაში განსხვავება ათ წელს აღწევდა. ასეთი „ვაკუუმი" უკვალოდ არ ჩაივლიდა, ბოლოს და ბოლოს უთუოდ იჩენდა თავს. ასეც მოხდა: ვეტერანებმა დატოვეს დიდი სპორტი, ასპარეზი გამოუცდელ, ნამდვილ ბრძოლებში უწრთობ ახალგაზრდებს დაგვრჩა. ჩვენ ფაქტიურად არ მოგვეცა იმის საშუალება, რომ გამოცდილი თანაგუნდელების მხარდაჭერით გვესარგებლა, მიგვეღო აუცილებელი პრაქტიკა და, ასე ვთქვათ, უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს მოვრგებოდით.

● **ასეთ ვითარებაში ეგებ ღირდა კალათბურთელთა გამოცდილების გაზიარება და რესპუბლიკის გარედან მოწვეული სპორტსმენებით გუნდის გაძლიერება, ფეხზე დაყენება?**



შეტევაზეა დიმიტრი აბესაძე

— ისეც ვცადეთ. „ბურევესტნიკში" თამაშობდა კრასნოდარელი გასი. ახლა ჩვენი გუნდის ღირსებას იცავენ მინსკელი მიხუტა და ბაქოელი ზვერევი. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: გასი მხოლოდ წელიწად-ნახევარს დარჩა თბილისში, ზვერევი ხშირი ტრავმების გამო ვერ აღწევს სპორტული ფორმის პიკს. ასე რომ, რჩება მხოლოდ მიხუტა.

● **თქვენი აზრით, როგორ შეიძლება შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევა?**

—ძალიან გვეხმარება რესპუბლიკის ხელბურთის ფედერაცია. მისი თავმჯდომარე, საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ცხაკაია ყოველთვის მზად არის დახმარების აღმოსაჩენად. არც საქართველოს სპორტსახკომის ყურადღება გვაკლია, მაგრამ ისინი ჩვენს გასაკეთებელ საქმეს ხომ ვერ გააკეთებენ? მათი მეცადინეობის დასაფასებლად, სასურველი შედეგის მისაღწევად, ვიმეორებ, ხელბურთელები გვჭირდება. ჩვენი გუნდის მწვრთნელები გიორგი ბერიაშვილი და ალბერტ გასიევი (იგი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელია) ყველა ღონეს ხმარობენ კოლექტივის გასაძლიერებლად. იმედია, მათი შრომა უქმად არ ჩაივლის. ვიმეორებ, „ბურევესტნიკი" ძალიან ახალგაზრდული გუნდია და ახლა მისთვის უმთავრესია დრო. ბიჭებს ორ-სამი სეზონი სჭირდებათ, რათა საკუთარი ძალა ირწმუნონ, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მომძლავრდნენ, ალღო აუღონ უმაღლესი ლიგის სპეციფიკას.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: ალბათ მეტი ზრუნვა გვმართებს ხელბურთის პოპულარიზაციაზე. ახალგაზრდები უფრო უნდა დავაინტერესოთ სპორტის ამ სახეობით.

● **რა გზით შეიძლება ამის მიღწევა?**

— ჩემი აზრით, ამაზე ჩვენთან ერთად თქვენ, პრესის მუშაკებმაც უნდა იფიქროთ. ალბათ საჭიროა ხელბურთს მეტი ადგილი დაეთმოს გაზეთებშიც და ტელევიზიაშიც. ტურნირი მხოლოდ მოვალეობის მიზნით არ უნდა ტარდებოდეს. იგივე კალათბურთელთა შეხვედრები ხომ იქცა სპორტის ნამდვილ დღესასწაულად — ამ სახეობის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად. აუცილებელია ბავშვებთან მუშაობის გაუმჯობესება, მომავალი თაობის აღმზრდელთა რიგების გაახალგაზრდავება. მეტი გაქანება უნდა მივცეთ ისეთ ენთუზიასტებს, როგორიც არის, მაგალითად მერაბ მეტრეველი. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ასპირანტურაში ჩააბარა, მაგრამ ბავშვებთან სამუშაო დროს მაინც პოულობს და არც ენერგიას იშურებს. ასეთი „ფანატიკოსები", რა თქმა უნდა, ერთეულები არიან, მაგრამ, თუ მოგვარდება ფინანსური საკითხი — მწვრთნელებს დაბალი ხელფასი აქვთ, დარწმუნებული ვარ, ბევრი გამოთქვამს ბავშვებთან მუშაობის სურვილს.

ჩვენს ხელბურთს დიდ ზიანს აყენებს პერიფერიების უმოქმედობა. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ „ბურევესტნიკს" ათ წელიწადზე მეტია რაიონებიდან შევსება არ მიუღია — გუნდი არც ერთი ხელბურთელით არ გაძლიერებულა.

რეგბის მსგავსად, ხელბურთის კლუბის შექმნაც არ იქნებოდა ურიგო. აქ შესაძლებელი გახდებოდა ვეტერან და მოზარდ ხელბურთელთა შეხვედრების მოწყობა, სხვა ღონისძიებების ჩატარება.

კიდევ ერთი: ალბათ მეტ ყურადღებას იმსახურებენ ვეტერანები. ისეთი ოსტატები, დამსახურებული ხელბურთელები, როგორიც არიან ბერიაშვილი, ანპილოგოვი, დოლიძე ისე წავიდნენ დიდი სპორტიდან, რომ მათი გაცილება აზრადაც არავის მოსვლია.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. ყველაფერს ერთბაშად არ მოევლება, მაგრამ, ვისაც ხელბურთის ბედი ადარდებს, დაუყოვნებლივ უნდა გააკეთოს, რაც მასზეა დამოკიდებული. სხვაგვარად საქმეს ვერ ვუშველით.

● **მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი ძირითადი პირობა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. შეიძლება ამის იმედი გვქონდეს?**

— ამის იმედი რომ არ გვქონდეს, მაშინ არც ჩვენს საუბარს ექნებოდა აზრი. მართალია, ბოლო მატჩებს სტუმრად ვატარებთ, მაგრამ ტირასპოლის გუნდს სამი ქულით ვუსწრებთ და, ვფიქრობ, ეს უპირატესობა მიზნის მისაღწევად შეიძლება საკმარისი გახდეს. ბრძოლა ძალიან ძნელი იქნება. ჩვენ ეს ვიცით და ამისთვის მზად ვართ. ყველაფერს ვიღონებთ, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

ესაუბრა
**ზურაბ ფოცხვერია.**

# გადამწყვეტი შეხვედრები

**საბერძნეთში** დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის პირველი ეტაპი — ჯგუფური ტურნირები. გამოვლინდა მეორე ეტაპის რვა მონაწილე, რომლებიც საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

შაბათისა და კვირის მატჩები ჯგუფებში ასე დამთავრდა:

**პირველი ჯგუფი:** საფრანგეთი — რუმინეთი 95:83 (46:47), იუგოსლავია — ესპანეთი 94:76 (54:36), სსრ კავშირი — საბერძნეთი 69:66 (30:37), იუგოსლავია — რუმინეთი 120:78 (69:43), სსრ კავშირი — ესპანეთი 104:88 (45:51), საბერძნეთი — საფრანგეთი 82:69 (38:38).

**მეორე ჯგუფი:** გფრ — პოლონეთი 90:86 (43:48), ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია 108:89 (48:80), იტალია — ისრაელი 99:78 (56:41), გფრ — ჰოლანდია 76:75 (36:45), პოლონეთი — ისრაელი 83:77 (43:40), იტალია — ჩეხოსლოვაკია 90:66 (48:40).

ჯგუფურ ტურნირებში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა:

**პირველი ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 5 | 0 | 501-399 | 10 |
| იუგოსლავია | 5 | 3 | 2 | 473-421 | 8 |
| ესპანეთი | 5 | 3 | 2 | 497-455 | 8 |
| საბერძნეთი | 5 | 3 | 2 | 430-399 | 8 |
| საფრანგეთი | 5 | 1 | 4 | 395-471 | 6 |
| რუმინეთი | 5 | 0 | 5 | 410-561 | 5 |

**მეორე ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 5 | 0 | 467-378 | 10 |
| გფრ | 5 | 3 | 2 | 428-447 | 8 |
| პოლონეთი | 5 | 3 | 2 | 432-434 | 8 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 2 | 3 | 436-437 | 7 |
| ჰოლანდია | 5 | 1 | 4 | 380-430 | 6 |
| ისრაელი | 5 | 1 | 4 | 421-438 | 6 |

ახლა, გათამაშების მეორე ეტაპზე, გუნდები ასე დაწყვილდნენ: სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია — პოლონეთი, ესპანეთი — გფრ და საბერძნეთი — იტალია. გამარჯვებული კოლექტივები ერთმანეთს ნახევარფინალებში შეხვდებიან. მერე გაიმართება მატჩი III ადგილისათვის და ფინალური შეხვედრა.

● ● ●

**დღეს** ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატზე იწყება მეოთხედფინალური მატჩები. საბჭოთა კავშირის ნაკრების მეტოქე ჩეხოსლოვაკიის ნაკრებია. ჩეხოსლოვაკიაში კალათბურთმა პირველი ნაბიჯები XIX საუკუნის მიწურულს გადადგა. ევროპის ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიის ნაკრების შედეგები ასეთია: 1946 წელს ისინი გახდნენ ევროპის ჩემპიონები. 1947, 1951, 1955, 1959, 1967, 1985 წლებში ისინი ვერცხლის პრიზიორები იყვნენ, ხოლო 1935, 1957, 1969, 1977, 1981 წლებში კი — ბრინჯაოს პრიზიორები.

საბჭოთა კალათბურთელები ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს შეხვდნენ ჩვიდმეტჯერ და ყველა მატჩში გაიმარჯვეს. სულ ბოლოს ეს იყო ევროპის უკანასკნელი ჩემპიონატის ფინალურ მატჩში — 120:89.

**მერაბ კალანდაძე.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია.** 9 ივნისი. დილის დოქურვა — **8.00** (1); დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.30 (2)**; საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში — **21.30 (2)**; ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში — **23.50 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია.** ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში — **0.20.**

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 11 ივნისს.

# ხუთი „ოქრო", ხუთი „ვერცხლი"

**იტალიის** ქალაქ ტურინში დამთავრდა ევროპის 26-ე პირველობა კრივში. ფინალურ ბრძოლებში საბჭოთა სპორტსმენებმა ხუთი ოქროსა და ამდენივე ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ამგვარად, ასპარეზობის თავისებური მიკრომატჩი — სსრ კავშირი — დანარჩენი „ძველი სამყარო" ფრედ აღინიშნა.

ჩვენს გუნდს პირველი ოქროს მედალი ყველაზე მსუბუქი წონის მოკრივემ (48 კგ.) ნ. მუნჩიანმა მოუტანა — ერევნელმა მოკრივემ დაამარცხა ბულგარელი კრასიმირ ჩოკალოვი. ლენინაკანელმა მ. ლაზარიანმა (57 კგ.) გადამწყვეტ შეხვედრაში სძლია უნგრელ ლასლო სოკეს. მესამე ოქროს მედალი ფრუნზელმა ო. ნაზაროვმა (60 კგ.) დაისაკუთრა. მან ბულგარელი ემილ ჩუპრემსკი დაამარცხა. გამარჯვებულ თანაგუნდელებს მხარი დაუმშვენეს პირველი საშუალო წონის (71 კგ.) კუიბიშეველმა ვ. შიშოვმა, რომელმაც მძიმე ბრძოლაში გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელ ზიგფრიდ მენხერტისთან (3:2) და რიგელმა ი. ვაულინმა (81 კგ.), რომელმაც უფრო დამაჯერებლად (5:0) სძლია რენე რილს (გდრ).

დანარჩენ შეხვედრებში ჩვენი მოკრივეები ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ: ნევინომისკელი ი. ალექსანდროვი (54 კგ.) ბულგარელ ა. ხრისტოვთან დამარცხდა, ვიტებსკელი ვ. იანოვსკი (63,5) — ასევე ბულგარელ ბორისლავ აბაჯიევთან. ფინალში გაიმარჯვეს: გდრ-ის სპორტსმენებმა ჰენრიხ რიხტერმა (71 კგ.) — ვლადიმირელ ვ. ეგოროვთან და ული კადენმა (+91 კგ.) — ევროპის საშზის ჩემპიონ, დონეცკელ ა. იაგუბკინთან. ერთი ოქროს მედალი კი ჰოლანდიაში გაემგზავრა. იგი გროზნოელ რ. სებიევთან გამარჯვებისთვის ა. ვან დერ ლიიდს ხვდა წილად.

ფინალში საბჭოთა მოკრივეები ორ წონით კატეგორიაში არ გამოსულან და ორივეში გდრ-ის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. 51 კგ. წონაში ანდრეას ტევსმა უნგრელი იანოშ ვარადის სძლია, ჰენრიხ მასკემ კი (71 კგ.) პოლონელი გერნიკ პეტრიხი დაჯაბნა.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 7 ივნისს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, 23-ე ტირაჟებისა.

**„სპორტლოტო 6 46"-იდან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 22 (წყალში ხტომა), 29 (სასტენდო სროლა), 33 (ფეხბურთი), 37 (აკრობატიკა).

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 20 (აფროსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

## „სპორტპროგნოზი"

**23 ტირაჟის შედეგები**

(6-7 ივნისი)

**1—1, 2—X, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—2, 10—1, 11—1, 12—1, 13—1.**

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილთა ნომერს აღნიშნავს, მეორე — შეხვედრის შედეგს.

**„ფორმულა-1"-ის ტრასებზე**

# ბრაზილიელთა ტრიუმფი

**31 მაისს** მონტე-კარლოს ქუჩებში გამართა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი, გათამაშდა მონაკოს „დიდი პრიზი".

ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული ტრასაა, რომლის სიგრძე 3328 მეტრია. ავტომრბოლელებს უხდებათ მრავალი რთული მოსახვევისა და აღმართ-დაღმართის დაძლევა, ამასთან ქუჩები ძალზე ვიწროა. ეს გარემოება სპორტსმენებისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვს.

სტარტიდანვე რბოლას სათავეში ჩაუდგნენ ბრაზილიელები აირტონ სენა და ნელსონ პიკე. ეტაპი სენამ მოიგო, მეორე ადგილი კი პიკემ დაიკავა.

მეოთხე ეტაპის შედეგები:

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „ლოტუს-ჰონდა") — 9 ქულა; 2. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ვილიამს-ჰონდა") — 6; 3. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი") — 4; 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი") — 3; 5. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაირელ-ფორდი") — 2; 6. ივან კაპელი (იტალია, „მარჩ-ფორდი") — 1.

ოთხი ეტაპის შემდეგ 18 ქულით კვლავ ლიდერობს ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ-პორშე"); მეორე ადგილზეა აირტონ სენა — 15 ქულა; მესამეზე — სტეფან იოჰანსონი (შვეცია, „მაკლარენ-პორშე") — 13; მეოთხეზე — ნელსონ პიკე — 12; მეხუთეზე — ნაიჯელ მენსელი — 10; მეექვსეზე — მიქელე ალბორეტო — 8; 7. გერჰარდ ბერგერი — 6; 8. ანდრეა დეჩეზარისი (იტალია, „ბრებემ ბე-ემ-ვე") — 4; 9. ედი ჩივერი (აშშ, „ეროუზ „ბე-ემ-ვე") — 3; 10. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ლოტუს-ჰონდა") — 3; 11. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ-ფორდი") — 2; 12. მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „ცაკსპიდი") — 2; 13. ჯონათან პალმერი — 2; 14. რენე არნუ (საფრანგეთი, „ლიჟიე") — 1; 15. ივან კაპელი — 1.

კონსტრუქტორთა კონკურსში ოთხი ეტაპის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: 1. „მაკლარენი" — 31 ქულა; 2. „ვილიამსი" — 22; 3. „ლოტუსი" — 18; 4. „ფერარი" — 14; 5. „ბრებემი" — 4; 6. „ეროუზი" — 3; 7. „ბენეტონი" — 2; 8. „ცაკსპიდი" — 2; 9. „ტაირელი" — 2; 10. „ლიჟიე" — 1; 11. „მარჩი" — 1.



14 და 21 ივნისს გაიმართება ჩემპიონატის მეხუთე და მეექვსე ეტაპები. კანადის „დიდი პრიზი" გათამაშდება ცნობილი კანადელი მრბოლელის ჟილ ვილნევის სახელობის ტრასაზე (ვილნევი დაიღუპა 1982 წელს ბელგიაში), ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების „დიდი პრიზისათვის" სპორტსმენები იბრძოლებენ ქალაქ დეტროიტის ქუჩებში.

**დავით ჩუბინიძე.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66485**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06348